გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №73

2020 წლის 12 ივნისი

ქ. გორი

ქალაქ გორში, თამარ მეფის ქუჩაზე, სტალინის გამზირიდან ჩოჩიშვილის ქუჩამდე (სტალინის გამზ. №4-სა და თამარ მეფის ქ. №37-ის მიმდებარედ) საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარი სამართველოსთან ერთად, შეისწავლა ქალაქ გორში, თამარ მეფის ქუჩაზე, სტალინის გამზირიდან ჩოჩიშვილის ქუჩამდე, სავალი გზის ორივე მხარეს მოწყობილი ტაქსის გაჩერება, რომელიც საგზაო მოძრაობას აფერხებს. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ მონაკვეთებზე აიკრძალოს გაჩერება და თამარ მეფის ქუჩაზე (სტალინის გამზ. №4-სა და თამარ მეფის ქ. №37-ის მიმდებარედ) დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშნები 3,27 „გაჩერება აკრძალულია“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ გორში, თამარ მეფის ქუჩაზე, სტალინის გამზირიდან ჩოჩიშვილის ქუჩამდე (სტალინის გამზ. №4-სა და თამარ მეფის ქ. №37-ის მიმდებარედ) დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშნები 3,27 „გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, თამარ მეფის ქუჩაზე, სტალინის გამზირიდან ჩოჩიშვილის ქუჩამდე (სტალინის გამზ. №4-სა და თამარ მეფის ქ. №37-ის მიმდებარედ) დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშნები 3,27 „გაჩერება აკრძალულია“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**